№ 56. 13 მარტი, სამშაბათი. 1886—1884 13 მარტი, სამშაბათი. № 56.

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭარაოვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ამ-ოდის ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურ-ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

რამდენიმე სიტყვა

რკინის-გზის ტოტებზე კავკასიის აქეთა მხარეში.

თბილისი, 13 მარტს.

კავკასიის აქეთა მხარეში ორგვარი რკინის-გზებია მოსაზრებული საკეთებლად. ერთი—რომელიც აკმაყოფილებს განსაკუთრებით სახელმწიფოს მოთხოვნილებას, მეორე მსახურებს საკუთრად თემობას და მხოლოდ ის განზრახვა აქვს, რომ აღამაღლოს რომელიმე მაზრის წარმოება, მისცეს რომელიმე ხეობის მცხოვრებლებს სიმდიდრე და კეთილ-მდგომარეობა მიმოსვლის, ვაჭრობის, აღებ-მიცემობის გაადვილებით და კეთილ-დღეობის მომატებით.

პირველ გვარ რკინის-გზებს მოაქვთ სახელმწიფოსათვის სხვა-და-სხვა სარგებლობა: მაგალითად, ომმანობის დროს ჯარი გადაჰყავთ სწრაფად ბრძოლის ველებზე, გადააქვთ აგრეთვე ყოველ გვარი სამხედრო სამზადისი და ომში საჭირო მასალები; აძლიერებენ სხვა-და-სხვა ქვეყნებსა და ხალხთა-შორის ვაჭრობას ჩქარის მიმოსვლით და საქონლის გადატან-გადმოტანით. რადგან ისინი ამდენს სამსახურს უწევენ სახელმწიფოს, მაშასადამე, თვით მთავრობაც ერევა ამისთანა რკინის-გზების კეთებაში,—სესხულობს იმდენს ფულს, რამდენიც საჭიროა მათ გასაკეთებლად და აძლევს სანდო კომპანიას. მთავრობა სესხულობს ფულს დიდის ვადით და უკეთუ თვითონ რკინის-გზას არ შემოუვიდა იმდენი ფული, რომ თავის საჭიროებაც გასტუმროს—მაგალითად, რემონტი, მოსამსახურეთა ჯამაგირები—და ნასესხი ფულიც თავან-სარგებლიანად, მაშინ მთავრობა თვითონ თავის ჯიბიდან იხდის დანიკლისსა. ამიტომაც ეძახიან ამისთანა რკინის-გზებს მთავრობის გარანტიით, ესე იგი თავდებობით, გაკეთებულებს. აი, ამ გვარს რკინის-გზებს ეკუთვნის ჩვენს ქვეყანაში ბაქო-ბათუმის რკინის-გზა დღემდის გაკეთებულის ტოტებითა: მაგალითად, ფოთის რკინის-გზა და ბაქოში ნავთის წარმოებისათვის დაკეთებული ტოტები.

***

სხვა ტოტების გაკეთება, რომელნიც დღემდის მოსაზრებულნი არიან გასაყვანად, მაგალითად, ხონის რკინის-გზის ტოტი, ყვირილის ხეობის ტოტი შორაპნის მაზრაში, კახეთის რკინის-გზა და სხვები ამ გვარები, რომელნიც კი შეაერთებენ ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მაზრებსა ბაქო-ბათუმის რკინის-გზასთან, სულ სხვა ნაირის პირობებით უნდა დაკეთდენ. ამისთანა რკინის-გზების კეთებაში არც ხაზინა და არც მთავრობა ან სულ არ ერევა, თავდებად არ უხდება რკინის-გზის კომპანიას, რომ ფული ასესხებინოს, ან თუ გაერია, სულ მცირეოდენად. რისთვის? იმისთვის, რომ მთავრობა არ არის დარწმუნებული ამისთანა რკინის-გზის შემოსავლიანობაზე. ის ჰფიქრობს, ჯერ რომ ბაქო-ბათუმის რკინის გზასაც ვერ შემოუტანია იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა ვალისა და საკუთარის ხარჯის გადასახდელად,—კერძო ხეობაში, ან მაზრაში გაყვანილი ტოტი როგორ მისცემს შემოსავალსაო? რადგან ამისთანა ტოტები ვერც სამხედრო საჭიროებას, ვერც უცხო ქვეყნებს შორის წარმოებას პირდაპირ ვერ გაუწევენ სამსახურსა, მაშასადამე, უმისოდაც სახელმწიფოს მოთხოვნილებით დატვირთულს ხაზინას ეშინია, ამისთანა კერძო ვალებით განსაცდელში არ ჩააგდოს თავის საქმე. ხაზინას ეშინიან უზომოდ თავის დავალიანებისა და ამიტომაც ვერ კისრულობს სამაზრო რკინის-გზის გასაკეთებლად თავდებობასა, ის ამისთანა რკინის-გზებისათვის კომპანიას არ აძლევს თავის გარანტიას. მაკრამ თუ უგზო-უკვლობით მიყრუებულის მაზრების ჭირნახული, ხელ-ნამოქმედარი და ნაწარმოები სწრაფად და იაფ ფასად არ გამოვიდა დიდ-გზაზე, ისე ჩვენი ქვეყანა ვერ დააღწევს თავს სიღარიბეს. მაშ რა უნდა ჰქნას ორთა შუა უნუგეშობაში ჩავარდნილმა ხალხმა თავის კეთილ-მდგომარეობის მოსაპოვებლად...

***

წყალში ჩავარდნილმა კაცმა შეგლავლა უფუნეაესს: «ღმერთო, მიშველეო».—«ხელი გაანძრიე და გიშველიო»—მოესმა ხმა ზეციდან. სწორედ ამ-გვარი პასუხი მისცა გზათა მინისტრმა კახეთის თავად-აზნაურობასა, რომელმაც სთხოვა: კახეთი უ-რკინის-გზოდ იღუპება, წარმოებას ბარაქა არა აქვს, გთხოვთ რკინის-გზა გაგვიკეთოთო. გზათა მინისტრმა უპასუხა: ხაზინა თავის-თავზე სულ ვერ იკისრებს კახეთის რკინის-გზის გაკეთებასაო, მაგრამ თუ თქვენ თვითონ აუცილებელ საჭიროებად მიგაჩნიათ კახეთის რკინის-გზის გაკეთება, დაეხმარეთ შეძლებისამებრ კავკასიის რკინის-გზის საზოგადოებას: მიეცით მას უფასოდ მიწები, მასალა, რაც საჭიროა ლიანდაგისა და შენობებისათვის, მოახმარეთ ხალხი მიწის მუშაობაში და დანარჩენს ფულს ზოგს კომპანია დახარჯავს, ზოგს ოტტოადენს შემწეობას თვით ხაზინაც აღმოგიჩენთ და ამ რიგად რკინის-გზა მალე გაგიკეთდებათო. აი, ნამდვილი პროგრამა, რომელიც დაგვიხატა გზათა მინისტრმა მაზრებში რკინის-გზების გასაყვანად. მაშასადამე, თუ ჩვენ გვსურს ჩვენის ქვეყნის ნაწარმოები წინ წავსწიოთ, აღებ-მიცემობის და მრეწველობის გაძლიერებით ხალხი კეთილმდგომარეობაში შევიდეს, მეტი ღონე არ არის კომპანიას უნდა მივსცეთ ის შემწეობა, რომელიც გზათა მინისტრმა ჩამოუთვალა კახეთის თავად-აზნაურობასა. რომელი კუთხეც ჩვენის ქვეყნისა უფრო საჩქაროდ შეუდგება ამ საქმეს, იმას უფრო ადრე გაუკეთდება რკინის-გზა და სხვებზე უფრო მალეც დაწინაურდება ვაჭრობით, მოხელობით, ფულით და შეძლებითა.

გ. წერეთელი.

შინაური ქრონიკა

8 მარტს, როგორც წინა ნომერში ვთქვით, მოხდა ორი უცნაური მკვლელობა: ერთი—დიღის 10 საათზე, მეორე—საღამოს 9 საათზე. დიღით

«დროების» ტელეფონი, 13 მარტი.

თბილისის მწარე დღენი.

ამიერ კავკასიის საატახტო ქალაქის უქეიფობაზე დღეს ყველანი ხმა-მაღლა ლაპარაკობენ. დიდი შორს-გამჭვრეტელობა მაინც არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს ის, რაც იმას ყოველ ნაბიჯზე თვალში ეჩხირება. ყველანი ჰგრძნობენ, რომ თბილისი აღარ არის იგივე თომა და ამიტომ აღარა ჰხურავს იგივე ტყავი. მართლაც, თომობას ეხლა ბევრი უკლია ჩვენს ქალაქს. ის ეხლა თომა კი აღარ არის, არამედ რალაც სხვა არსება, რომელსაც სახეზე ჯერ არავითარი გამორკვეული ფერი არ დასდებია და ამიტომ არ იცი, რა სახელი უწოდო. ერთობ ბევრი სხვა-და-სხვა, ნაირ-ნაირი გამომეტყველება იხატება მის სახეზე. ერთი საზოგადო თვისება ამ ნაირ-ნაირობისა არის მხოლოდ რაღაცა სიმკრთალე, მაგრამ თითონ ეს სიმკრთალეც რიგიანად არ არის გამორკვეული. უფრო ხშირად შეატყობთ მას შეშინებულს თავჩაღუნულობას, მძიმე ჩათხრომილობას; მაგრამ ეს ჩათხრომილობა, საუბედუროდ, არ მოასწავებს იმას, ვითომც თბილისი გაგონიერებულიყოს და ჰფიქრობდეს თითონ დაიღწიოს თავი ეხლანდელი განსაცდელისაგან. არა, ასეთს ფიქრს თბილისი დიდი ხანია გადაეჩვია. ის ბოლოს დროს ყოველთვის სხვათა შემაყურებელი ყოფილა, სხვებისთვის უმზერია ხელში, სხვებიდამ ულია მოწყალება. ამიტომ იგი დღესაც ვერა ჰფიქრობს, რომ თავს უშველოს. ჩათხრომილობა აიხსნება მით, რომ თბილისს ეხლანდელმა ეკონომიურმა მდგომარეობამ ძალიან ღონივრად ჩაუთავაზა თავში, ასე რომ სიმწვავისაგან ზევით ველარ აუხედნია, და რამდენიც უფრო აგვიანებს ზევით ახედვას, იმდენი უფრო და უფრო გაუძნელდება აიცდინოს თავიდამ ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი ალიყურები.

მაინც ძნელია, როცა კაცი უზრუნველს და ადვილს ცხოვრებას მიეჩვევა. ქალაქებსაც და მთელ ხალხებსაც კერძო ადამიანის დღე ადგებათ, თუ იმათაც ცხოვრებაში უზრუნველობით უტარებიათ დღენი თვისნი. პირველსავე გაჭირებაში ისინი ცოდვიანებივით ჩაჰკიდავენ თავებსა და ხელ-გაუნძრეველად ელიან დღე-დღეზე თავიანთ განადგურებას.

ჩვენს განაზებულსა და გაფაფუკებულს თბილისსაც დღეს ჩაუმწარდენ თვისნი ტკბილნი დღენი. იგი უქეიფოდ შეიქნა. ამ უქეიფობას ჰგრძნობენ ყველანი, მოკიდებული უბრალო კინტუადამ, ვიდრე ბრალიანს და ჩასუქებულს თბილისელს კრეზამდის.

***

აბა, კარგა დააკვირდით თბილისის ბულვარზე მოსიარულე პუბლიკას. ხომ ყველას იცნობთ, რადგან აქაური ხართ და ყოველ დღე, დილიდამ საღამომდე, ბულვარის სტუმარი ბძანდებით. ყველაზე მეტად თქვენი უსაგნო ყურადღება მიქცეულია, ამ ბოლოს დროს, ორი ჯურის ხალხზე: «მდიდრებზე» და წვრილმან ვაჭრებზე. მართალია, ეს ყოველთვის ასე იყო ხოლმე. წინადაც ეს ორი კატეგორია იყო ხოლმე თქვენი ყურადღებისა და ბაასის საგანი. მაგრამ წინად მდიდრები იმიტომ მიგაჩნდათ, რომ ისინი, მართლა, მდიდრები იყვნენ და მედიდურადაც იქცეოდენ, გაკვირვებდენ თავიანთი მხიარული ცხოვრებით, ფულების ფლანგვით, უშიშრობით, უზრუნველობით. წვრილი ვაჭრებიც იმათ კვალზე მიდიოდენ შეძლებისამებრ: უბრალო კინტუა კვირაში ერთხელ მაინც ნახავდა «კარგ დღეს»—მთელი კვირის მუშაობით მონაგრობდა ფულებსა და ბოლოს, ერთს დღეს, მიჰფლანგავდა იმ იმედით, რომ კიდევ მოინაგრებდა, კიდევ იშოვნიდა გროშებს და კიდევ ასე მხიარულად გაატარებდა კვირა დღეს.

აი, ასეთი უდარდელი ქეიფი და მხიარულობა ამ ორი ჯურის ხალხისა იქცევდა თავისკენ შენს ყურადღებას. დიდრონი კაცებიცა და ჭიაყელებიც ერთ-ნაირად ჰბადავდენ შენში თითქო რაღაცა შურსა. ეხლა? ეხლა სურათი გამოიცვალა. ეხლა შურს ადგილი აღარა აქვს შენს

მოჰკლა ერთმა ურიამ ურიის ქალი რიგკა, სადამოთი «გოროდოვოიმ» — კიდევ უცნობი კაცი. მეტადრე ურიის ქალის მოკვლა შესაძრწუნებელი ამბავია! აი, ეს ამბავი დაწვრილებით: სიონს ახლო, ჭურჭლების ქუჩასთან კიწრო ქუჩაში, არის ურიების სინაგოგა, რომელსაც ჩუარაულობს სპარსეთის ქვეშევრდომი ურია ლევი იბრაჰიმ-ოღლი. ეს ყარაული სდგას იქვე პატარა ქოხში თავის სახლობით, თანაც წვრილ-წვრილადა კაჭრობს. დილით ადგება ეს ურია და წავა სავაჭროზე, მისი ცოლი, ახალ-გაზდა, ლამაზი ქალი 22 წლისა, შეუდგება სარეცხს. საათის ათზე მას ეწვევა მეზობლად მცხოვრები ურია, ი. დ—ოღლი, 21 წლის კინტუა ბიჭი, რომელსაც ძალიანა ჰყვარებია ყარაულის ცოლი, რიკკა. ამ ბიჭს გარედ გაურეკნია რიკკას სამი ქალი-შვილი, რომლებშიაც უფროსი ხუთი წლისაა და უმცროსი კი ჯერ ისევ ძუძუზეა. მერე დაუწყია რიკკასთვის სიყვარულის გრძნობის გამოცხადება, მაგრამ რიკკას ჰყვარებია თავისი ქმარი და ამიტომ უარი უთქვამს ლალატობაზე. ბიჭი თავს არ ანებებს. რიკკა გარედ აგდებს მას და არცხვენს. მაშინ ეს ბიჭი ამოიღებს გძელს დანას და ატაკებს ქალს ფერდებში. ამ სცენას უყურებს უფროსი ქალი, რომელიც ესლაცა ლაპარაკობს მათს ბასსს. დანის დაკარის უმალ, ბიჭი გამოვარდება და წავა. რიკკა კი ხმაურობს უგანსაკნელს ღონეს, ეძახის თავის პატარა შვილებს, ჩაეკონებს მათ გულში მომაკვდავი და სამუდამოდ გამოეთხოვება დაობლებულ ბალღებს. უმაწვილები შეჰქნიან ყვირილს — «აბაამ დედა მოკვიკლაო». შეიყრება სალხი და ჩნასავს სასარელს სურათს — მკვდარს რიკკას და სისხლში ამოსვრილს ბალღებს. მოკა ბოლიციაც, რომელიც, უფროსი ქალის ჩვენებით, გასწევს მკვლელის სახლში, სადაც, ლოგინს ქვეშ, ჩნასავს სისხლიანს დანას. მკვლელს იმაგ დღეს დაი-

---

გულში. რადა? იმად, რომ შესაშურებელსა და დასახარბებელს ვერასა ჰხედავ ვერც მდიდრებში, რომელთაც ეხლა მხოლოდ «მდიდრის» სახელიდა აქვთ, ეველარც ღარიბებში, ანუ წვრილ ვაჭრებში. უწინდელი კრეზი დღეს მხოლოდ ტანისამოსით-ღა თუ გაირჩევა დღევანდელი პროლეტრიისაგან. შინაგანი მდგომარეობა მათი დღესაც ერთ-ნაირია, ხოლო იმ განსხვავებით, რომ უწინ ისინი ორნივ მხიარულობდენ და ეხლა კი ორნივ გამწარებულნი, დაღონებულნი და უქეიფონი არიან.

ამ-ნაირი გამოცელა სურათისა, რასაკვირველია, მიიზიდავდა შენს მხედველობას. შენი თვალები გმოწმობენ, რომ დღეს თუ სადმე მხიარულობა მოიპოვება თბილისის მცხოვრებლებში, მოიპოვება ისევ შუათანა ხალხში, რომელიც თავის დღეში არც მდიდარი ყოფილა და არც გაკოტრებას მოელის წინ, რომელსაც უცხოვრია არა ვაჭრობით, არამედ სხვა რაიმე შრომით, რომელიც გამუდმებული და წყნარი მუშტარი ყოფილა ქალაქელი ვაჭრებისა და დღესაც იგივე მუშტარია. ამ შუათანა ხალხის

ჭერენ თავრის მეიდანში. სატოდაობით გული მოუკვდება კაცს, კინც ამ ობლებსა და მის მწუსარე მამასა ჩნასავს, მეტადრე ძუძუ-მწოვარი ბავშვი ტირის და თითქო ძუძუსაკენ იშვერს თავის პაწია სულებს! მკვლელი თურმე გამოძიებაში ამბობს, რომ იმან სისხლიანი დანა ქუჩაში იპოვნა, რადესაც, ვითომც, აბანოდამ მოდიოდა, არა დებულობს თავს მკვლელობაში.

რაც შეესება მეორე მკვლელობას, იმაზე ლაპარაკობენ შემდეგს: სადამოს რვა საათზე ერთმა გოროდოვოიმ, პოლიციის ქუჩაზე სამს ავაზაკს დაუერეკინა მოპარული საღიჩები. ერთმა მათგანმა ესროლა გოროდოვოის დიდი ქვა, დასჭრა ფეხში, მაგრამ საღიჩები მაინც ვერარ წაიდეს, და ცარიელები გაიქცნენ. გოროდოვოიმ ვერარ შესძლო ყარაულობა სიმწვავის გამო და გამოგზავნა თავისი მოადგილე. ტოტასნის უგან, ამ უგანსაკნელმა, ძველი ციხის ქუჩაზე, თვალი შესწრო, ერთს უსუფთაო და დანგრეულს ნაქოხარში, კიდევ კაცს. დაუკვირა — ვინა ხარო? პასუხი არ მისცეს; დაუძახა მეორედ, კიდევ არაფერი. ბოლოს უცებ გამოვარდა ეს უცნობი კაცი, ეძგერა ყელში გოროდოვოის და უნდოდა დაეღრჩო. გოროდოვოიმ ისროლა თავი. ავაზაკი გაიქცა. გოროდოვოიმ ესროლა რეკოლვერი და მოარტყა უკან კეფაში. ავაზაკი იქვე დაეცა. წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც სული დალია. ეჭვი აქვთ, რომ ეს ავაზაკი იმ სამი ავაზაკთაგანია.

ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ იქ 4 მარტს გაუმართავთ ქართული წარმოდგენა იქაური საქალაქო სკოლის სასარგებლოდ. უთამაშნიათ «ძუნწი» და «ბუტიაობა» და შემდეგ ცხოველი სურათებიც წარმოუდგენიათ. სალხი ბლომად დასწრებია და სკოლის სასარგებლოდ დარჩენილა წმინდა შემოსავალი 120 მან.

სამშაბათობით 13 მარტსა და 20 მარტს თბილისის «კრუჟოკში» მასწავლებელი ბ. გულაკი წაიკითხავს ორს ლექციას «კეფხვის ტყაოსანზე». აი პროგრამა ამ ლექციებისა: შესავალი. რადის არის დაწერილი პოემა. თარგმანები და შემოკლებანი. ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველზედ. «კეფხვის ტყაოსნის» შესწორება და გადასხვაფერება. ბროსეს გამოცემა. რუსთაველს თამარ-დედოფალი უყვარდა. აზრი ედგარ კინესი ტრუბადურის სიყვარულზე თავის ფეოდალურ გულის სიყვარულისადმი. რუსთაველის მოქმედების ბოლო — მონასტერი. რუსთაველის სვედრთან შედარება.

პოემის გარეგანი ფორმა. ლექსთაწყობილება რითმულია და არა სილაბიური. ხმის შეერება. ლვთისადმი მიმართვა. თამარის ქება. როსტევან და თინათინი. ბუნებაც ქართულია და კაცნიც ქართველები არიან. როსტევან და მისნი ქვეშევრდომნი ნამდვილი ქრისტიანები არიან; ინდოეთის, გულანშაროს და ზღვათა სამეფოს მცხოვრებნი — მახმადიანები, ჩინელები და ქაჯები კი — კერპთმსახურნი. «კეფხვის ტყაოსანი» მართლა სპარსულიდამ არის ნათარგმნი, თუ არა? საზოგადო შთაბეჭდილება მთელი პოემის წაკითხვის შემდეგ.

განსაკუთრებული თვისება «კეფხვის ტყაოსნის» გმირთა არის სიმამაცე, გმბედავობა, სიმართლე, სიტკვის შესრულება და სიუსვე. სიყვარული «კეფხვის-ტყაოსანში»; სიყვარული დასავლეთში. სონეტი დანტედამ. სიყვარული აღმოსავლეთში. ავთანდილის სიყვარული. მისი მიმართვა მნათობთადმი. თინათინისადმი მისი ლალატი. ფატმანის სურათი. ნესტან-დარეჯანის სიყვარული. როგორ ესმოდა თითონ რუსთაველს სიყვარული? არა ამ ქვეყნიური სიყვარული.

ქარაკტერისტიკა როსტევანისა, ავთანდილისა და ტარიელისა.

ეშველია, ჩვენი საზოგადოება ეუფრადღებოდ არ დასტოვებს ეს ცნობა — ბირის ცდას, რომ ჩვენს ეკლესიაში ბოქაულობა ბაბაესებური ნათელი მოჰფინოს და ქართველის უცოდინარობაც გაანათოს.

ამ დღეებში პეტერბურგიდამ მოსულმა ტელეგრამამ გვაცნობა, რომ მინისტრთა კომიტეტს გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს სელმწიფე იმპერატორთან, რათა ქართველ თავად-აზნაურობას ეპატიოს ნახევარი ბრიკაზის ვალი, ხოლო მეორე ნახევარი კი 37 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადასდეს. გარდაწყვეტილი არ იყო ნათქვამი — ეს ნახევარი ვალას უნდა ეპატიოს, თუ სხვაფრივ განაწილდეს. ესლა გაზეთი «რუსკი კურიერი» გვატყობინებს, რომ ფინანსთა მინისტრის და სახელმწიფო კონტროლიორის აზრით, შეიძლება ერთი მესამედი (1/3) ვალისა ეპატიოს იმათ, ვისაც ბრიკაზიდამ სესხი გაუტანიათ 1865-წლამდე. დანარჩენი ორი მესამედი კი (2/3) უნდა იხადონ 37 წლის განმავლობაში; იმათ კი, ვისაც სესხი გაუტანიათ შემდეგ 1865 წლისა, ერთი მეხუთედი (1/5) ეპატიებათ, დანარჩენი ოთხი მეხუთედი კი 37 წლის განმავლობაში უნდა გადაიხადონ.

ტელეგრაფმა შეგვატყობინა, რომ მთავრობას გადაუწყვეტია კავკასიაში ღვინის კეთების სკოლები დაარსოს იმ გვარად, როგორც რეინის ახლო მდებარე ბროვინციებში და საფრანგეთშია. გუშინ მოსული რუსული გაზეთები ზემო-ხსენებულ ამბავს იმასაც უმატებენ, რომ ამ სკოლებში კურს-გათავებულებს იგივე უღავთი მიეცემათ სამხედრო სამსახურში, რაც სამხედრო სასწავლებლებში კურს-გათავებულებსა აქვთ. ამ გვარი სკოლები ამ შემოდგომაზედვე გაიხსნებიან მთავრობის ხარჯით და ზედამხედველობა

ბელსა ეერ ეერ ეერ

მინდობილი ექნებათ ღვინის კეთებაში დახელოვნებულ პირთა.

† კვირა დღეს, 11 მარტს, თბილისში უეცრად გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით კავკასიის მთავარ-სამმართველოს უფროსად ნამყოფი გენერალ-ლეიტენანტი დიმ. სვიმ. მესტაროსელსკი. განსვენებულს თურმე თავის ქალთან კნ. კელდიშევისთან ესადილნა და მოდიოდა შინისკენ გოლოვინის პროსპექტზე. როდესაც მოახლოვებოდა სულხანას საპარიკმახეროს, იქ უცებ გულს შემოყროდა და შესულიყო საპარიკმახეროში. მიეცათ მისთვის წყალი, გადასვენებულიყო კრესლოზე და ცოტა ხნის შემდეგ იქამდის მობრუნებულიყო, რომ ამდგარიყო და შინ წასვლა დაეპირებინა. მოართვეს თუ არა ფაეტონი და ჩაჯდა შიგ, იმავე წუთას დალია სული.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მომცეთ საშუალება, რომ თქვენის გაზეთით გამოვაცხადო შემდეგი: რომ უსიამოვნობას გადამარჩინონ, ვსთხოვ ყველა რედაქტორებსა და წიგნების გამომცემლებს, ჩემი ნაწერებიდან არაფერი დაბეჭდონ ხოლმე და არც თეატრში ჩემი რამ პიესათაგანი ათამაშონ.

აკაკი.

უცხოეთი

— მკითხველებს ეხსომებათ, რომ წარსული წლის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ერთი წარჩინებული გერმანიის რეიხსტაგის წევრთაგანი ლასკერი. იმისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია, როგორც ამერიკაში, აგრეთვე გერმანიის პოლიტიკურს წრეებშიაც, განსაკუთრებით ნაციონალ-ლიბერალების დასში, რომელსაც ლასკერი ეკუთვნოდა. ლასკერის ცხედარი დიდის ამბით გამოისტუმრეს ამერიკიდგან და გერმანიაშიც ღირსეული პატივით და დიდებით დაასაფლავეს. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა გამოუგზავნა გერმანიის მმართებლობას რეზოლიუცია, რომელშიაც პირველი დიდს მწუხარებას უცხადებდა მეორეს ლასკერის სიკვდილის გამო. ლასკერი იყო ბისმარკის პოლიტიკის ერთ უძლიერეს მოწინაალმდეგეთაგანი და ამის გამო, რასაკვირველია, ბისმარკს არაფრად მოეწონებოდა კონგრესის ამ გვარი მწუხარების გამოცხადება. ამისათვის, ბისმარკმა არ წარუდგინა რეზოლიუცია იმპერატორს ვილჰელმს, უკან გაუგზავნა ამერიკას და თანაც მისწერა გერმანიის ელჩს, რათა ეუწყებინა მას კონგრესისთვის, რომ გერმანიის მმართებლობას, სამწუხაროდ, არ შეუძლიან წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს ხსენებული რეზოლიუცია, რადგანაც ლასკერი ყოველთვის წინაალმდეგი იყო მისი დიდებულების პოლიტიკასა, და ეხლა მმართებლობამ რომ მიიღოს ეს რეზოლიუცია—ეს იმის მხრივ იქნება უარ-ყოფა თავისივე პოლიტიკისა. თავადი ბისმარკის ამ გვარი პასუხი, რასაკვირველია, არ მოეწონებოდათ ლასკერის მეგობრებს, რომელნიც იმას საკმაოდ ჰყავნდა რეიხსტაგში; მართლაც, ძლიერ გაბოროტა ამ გარემოებამ ბისმარკის წინააღმდეგ ისედაც გაბოროტებული ნაციონალ-ლიბერალების დასი; უკმაყოფილება იქამდინ გაძლიერდა, რომ სრულიად აღარ მოერიდენ «ყოვლად ძლიერს კანცლერს» და საშინლად ჰკიცხავდენ მას ამ გვარი მოქმედებისათვის, როგორც კერძოდ, აგრეთვე რეიხსტაგშიაც.

ბისმარკი 12 მარტამდინ (ახ. სტ.) ფრიდრიხსრუეში იმყოფებოდა და ამის გამო იმას პასუხი არ უვია ყველა იმაზე, რაც მის წინააღმდეგ ითქვა რეიხსტაგში რეზოლიუციის უკან დაბრუნების გამო. 2 მარტს, მეხუთე საათზე, მოსულა კანცლერი ბერლინში და მეორე დღეს, 1 საათზე შუადღის შემდეგ, მისულა რეიხსტაგში, სხდომის დაწყების ცოტა წინად. პირველად მისალმებია პალატის პრეზიდენტს ლევეტცოვს, მერე დეპუტატს ფელდმარშალ მოლტკეს და შემდეგ ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონია პრუსიის ფინანსთა მინისტრთან ფონ-შოლცთან. როდესაც სხდომა დაწყებულა, კანცლერს, ვიდრემდის პალატა მორიგ საქმეებზე დაიწყებდა სჯას, წარმოუთქვამს მოკლე სიტყვა ლასკერის საქმის შესახებ. მთავარი აზრი ამ სიტყვისა ის არის, რომ ზემოხსენებული რეზოლიუციის უკან დაბრუნება არ ავნებს გერმანიის და ამერიკის კეთილ განწყობილებას, რომელიც არსებობს მათ შორის დიდი ფრიდრიხის დროიდამ დაწყებილი და რომელიც შემდეგში უფრო განძლიერდა, როდესაც ამერიკელებს ურთიერთ შორის ომი ჰქონდათ. კანცლერი არ დაუბრუნებდა უკან რეზოლიუციას, რომ იმაში არა ყოფილიყო ლასკერის ისეთი ქება, რომელშიაც იმპერატორის პოლიტიკის კიცხვა გამოდიოდა. იმას არ შეეძლო მიეღო ამ გვარი განკიცხვა იმიტომ უფრო, რომ კონგრესს, უეჭველია, როდესაც აცხადებდა იგი თავის მწუხარებას ლასკერის სიკვდილის გამო, ფიქრადაც არ მოსვლია ამ გვარი განკიცხვა, და ლასკერის ასრედ ძლიერ ქება არის შედეგი გერმანიის შინაური პოლიტიკის და პარლამენტური ცხოვრების უცოდინარობისა. ამ გვარი შეცდომა, შესაძლებელია გერმანიასაც ჩაედინა ამერიკის შესახებ. როდესაც თავადმა ბისმარკმა დაიწყო ბაასი ლასკერის მოღვაწეობაზედ, სთქვა, რომ ლასკერს ბევრი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის წინაშე და მე მადლობელიცა ვარ ნაციონალ-ლიბერალებისა წინანდელი ჩემი დახმარებისთვისაო, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმოდენი წინააღმდეგობა არავის გაუწევია ჩემთვის, რამდენიც ლასკერმა გამიწიაო. ბისმარკის სიტყვამ უდავო-დარაბოდ არ ჩაიარა: ბოლოს დიდი უსიამოვნობა გამოიწვია მარცხენა მხარეზე მით, რომ ბისმარკმა, როდესაც ჰკიცხავდა ესრედ წოდებულთ «ლასკერის მეგობართ», მათ პოლიტიკას უწოდა ანგარების მოყვარე პოლიტიკა და, სხვათა შორის, სთქვა—რიგი არ არის, რომ «ჩარჩებივით» სარგებლობთ განსვენებული ლასკერის ქებითაო. ახსენა თუ არა ბისმარკმა სიტყვა «ჩარჩი», მაშინათვე მარცხენა მხარეზე ვიღამაც დაიძახა: «ფუ!». ამისაგამო ბისმარკმა მაშინათვე შესწყვიტა ლაპარაკი, დარბაზის მარცხენა მხარისკენ მიიწია, ზიზღით გადახედა მას და სთქვა რაოდენიმე გესლით სავსე სიტყვა; ეს სიტყვები იმის წინააღმდეგ უფრო იყვნენ მიმართულნი, რომელმაც «ფუ!» წამოიძახა.

მარჯვენა მხარეს ძლიერ მოეწონა ბისმარკის სიტყვა და დიდის აღტაცებითაც მიიღო. ბისმარკს მიუგო პასუხი დეპუტატმა ჰენელმა, რომელმაც წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ცხარე და მკვახე სიტყვა. ჰენელმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ თავადი ბისმარკი ერთობ ვიწრო და შემცდარი აზრისა არის ლასკერზედ; რომ ლასკერს ჯერ რიგიანად არც კი მიუფარებია პირი მიწისთვის და ის კიდეცა სჯის მას—ეს რიგი არ არისო. ამერიკის კონგრესის რეზოლიუციაში მარტო უბრალო მწუხა-

---

ნებოდა—ლ.ესხლებოდით და ვიტირებდით. თუ უბედურობა აუცილებელი და მალია, მაშინ ჭირს გაძლებაც უნდა; და თუ კი საიდამმე ეშველება ამ უბედურობას, უნდა ყოველივე ღონის-ძიება იხმაროს კაცმა იქიდამ გამოსასვლელად...

***

ჩვენს ქალაქს დიდი თავ-გადასახადი გადაჰხდა ამ მოკლე ხანში. ომიანობას მარტო თბილისის მეიჯარადრეებმა გააგდებინეს სულ უკანასკნელი ერით თორმეტი მილიონი მანათი. ვათავდა ომიანობა. ჩვენი მდიდრები ფულებითა კოჭაობდენ, ეგონათ, აღარ გამოილევაო. მაგრამ ქარის მოტანილი, მუდამ ქარსავე მიაქვს. მოისპო ჩვენში ხელმწიფის მოადგილობა, «ნამესტნიკობა», გაიყვანეს ჯარები, გავიდა დიდ-კაცობა. შეელა ამაებს თბილისის «პოდრაჩიკები» რჩებოდენ წელიწადში არა ნაკლებ სამი მილიონი მანათისა. ეს უხვი წყაროც დაშრა თბილისათვის. მანამ ბაქოს გზა გაიხსნებოდა, ჩვენი ქალაქი არიგებდა თითქმის სამი გუბერნიის გარეშე და შინაგან ვაჭრობის საქმეს—მოჰქონდა რუსეთის და უცხოეთის საქონელი, ჰგზავნიდა, თბილისის გუბერნიის ქალაქებისა და სოფლების გარდა, ერევნისა და ზანგის გუბერნიებში; აგრეთვე იქიდამ მოჰქონდა საქონელი და ამგზავრებდა რუსეთსა და უცხოეთში. ეს შინაგანი და გარეგანი სავაჭრო საქონელი სამი გუბერნიისა იკრიბავდა თავს თბილისში და აქაური ვაჭრები იმდენს მოგებასა რჩებოდენ, რომ ძნელი საანგარიშებელიც კია, მაგრამ ესეც ჩავაგდოთ ორ მილიონ მანათად. ეხლა ბაქოს გზამ ამ შემოსავალსაც გაუსვა ხაზი და თბილისელებს პირში ჩალა გამოავლო. აიღეთ ახლა ამიერ კავკასიის ტრანზიტის მოსპობა, რომელმაც წაგვგლიჯა ხელიდგან არა ნაკლებ ორი მილიონი მანათისა, და მაშინ დაინახავთ, რომ თბილისს აღარ შეუძლიან ისევ იმ გზაზე სიარული და ისეთივე ტყავის წამოსხმა, რა გზითაც დაიარებოდა აქამდის და ან რა ტყავსაც აქამდის იცხამდა.

***

ასეთი მდგომარეობა საქმისა კამბეჩსაც კი ჩააფიქრიანებს და ჩვენი ვაჭრები კი მხოლოდ დარდობენ და ელიან... არ იცის კაცმა, რას ელიან! ნუთუ განადგურებასა და საყოველთაო კოტრობას? ეს დიდი უბედურება იქნება არა მარტო ვაჭრებისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. თუ კი ვაჭრობა აღარ გადის, მოდი შენა და ივაჭრე! თუ მსყიდველების რიცხვმა ერთი ათად იკლო, ნუთუ გამყიდავის რიცხვი იმავე სიმაღლეზე იქნება, რომელზედაც იყო მაშინ, როდესაც მსყიდავები ეხლანდელზე ათჯერ მომატებულნი იყვნენ! ამ მათემატიკურ ამოცანას დიდი სიბრძნე როდი დასჭირდება. მაგრამ მოდი შენ და ანგარიში მოსთხოვე ისეთს კაცს, რომელიც სიბერემდის უანგარიშოდ, უფიქრელად, ალალბედზე სცხოვრობდა და შეუწუხებლივ, თავისთავად, ალალბედზევე მდიდრდებოდა დღითი-დღე!..

***

აშკარაა, რომ თბილისის დღევანდელი მდგომარეობა თხოულობს დიდს სიფთხილეს და წინ-წახედულობას. აქ დახანება და ზლაზვნა არ გამოდგება. თბილისის ეხლანდელი სიმდიდრე და საქონელი უნდა დახურდავდეს, იქცეს ნაღდ ფულად. ჩვენი გაცალკევებული ვაჭრები უნდა დაუახლოვდენ ერთმანეთს, მოიკრიბონ თავები, შეადგინონ წვრილ-წვრილი ამხანაგობა, როგორც ევროპიელები შვრებიან, და, ერთმანეთის ზურგის მიცემით, დაიწყონ რამ სხვა ხელობა, გააძლიერონ წარმოება საქონლისა. ჩვენი ქვეყანა ისეთი მდიდარია, რომ მისი სიმდიდრის ამოღებითა და სხვაგან გატანით ათი და ოცი იმდენი ხალხი იცხოვრებს, რაც დღესა სცხოვრობს ჩვენს მხარეში. მაშინ აღარც გაკოტრების შიში დაგვიწყებს თავში რახუნს, აღარც ამდენი საწყალი, წვრილმანი ვაჭრები იქნებიან ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში, როგორშიაც არიან ეხლა, როდესაც ლუკმა-პურის საშოვრად აღარა დგებიან უკან არც კაცის გაქურდვაში, არც სახლების გატეხაში, არც ადამიანის სისხლის დაღვრაში.

ერთი სიტყვით, უნდა ძალიან ვეცადოთ და, იქნება ჩვენმა მგლებმა ცხვრები მოიგონ და უშველონ დაცემულს ქალაქს.

რებაიყო გამოცხადებული ლა ამის გამო ბისმარკს უკანარ უნდა დაებრუნებინაო. ბისმარკმა ამაზედ უპასუხა, რომ ჰენელი ტყუილად ამტკიცებს, ვითომც მე ეცდებოდე და მართლა ვერ ეაფასებდე ლასკერსაო. «იმაზე უარს ვერ იტყვით, რომ მე დიდი და მძიმე ბრძოლა მქონდა ლასკერთან, რათა დამეცვა იმპერატორის პოლიტიკა იმისაგანა,—უთქვამს ბოლოს ქანცლერსა,—ტყუილად ლაპარაკობენ იმას, ვითომც მე უდროოდ ვამბობდე ჩემს აზრს იმაზე. ასეთი საყვედური იმათ უფრო ეთქმის, ვინც სარგებლობენ განსვენებული ლასკერის სახელით ჩემ წინააღმდეგ. მე, როგორათაც თვითეულს პატიოსანს პრუსიელს, უფლება მაქვს ჩემი აზრი დავიცვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩემ წინააღმდეგ, როგორც იმპერატორის მოხელისა, ხმაროობენ რაღაც სამზღვარ-გარეთულს მოწმობას».

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

10 მარტს.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲐ. სახელმწიფო სამსჯავრომ მინისტრს ჭოლმბესაც სამსახურიდგან დათხოვნა გარდაუწყვიტა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ამბობენ, საფრანგეთი ეძვსს მილიონს გირვანქა სტერლინგს მოსთხოვს ჩინეთს, რადგანაც უკანასკნელი მონაწილეობას იღებდა ტონკინის საქმეებშიო. ხმებია, ვითომც ადმირალს კურბეს ნაბძანები ჰქონდეს კუნძული ხაინანის დაპურობა.

ᲞᲔᲚᲨᲢᲘ. აქაურმა ბანკის კასირმა ფოტოგრაფიული სურათით ვენაში დატუსალებულ ანარხისტ კამერად იცნო ის პირი, რომელმაც შემოიტანა ამ ბანკში სარგებლიანი ქაღალდები, მოპარულნი ზარაფი ეიზერტის დუქნიდგან.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. დღეს დამარხეს გრაფი ადლერბერგი. ანდერძი სახასო მამულების სამინისტროს ეკლესიაში აუგეს; შემდეგ ანდერძის აგებისა პროცესიამ ლიტეინზე გაიარა და ვოლკოვოს სასაფლაოსკენ გაემართა. ხელმწიფე და დიდნი მთავარნი ცხენებით მისდევდენ, ხოლო დედოფალი და დიდთა მთავართა მეუღლენი კარეტებით.

ᲑᲐᲥᲣ. ნავთის მწარმოებელნი სთხოვენ მთავრობას, რომ მათი პირველი ყრილობა ბაქოში სექტემბერში მოხდეს.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. დღეს იმპერატორი ვილჰელმის დაბადების დღეობის გამო, თავადს ბისმარკს დღესასწაულებრივი ნადიმი ჰქონდა, რომელზედაც ორლოვიც იყო მიწვეული.

ᲙᲐᲘᲠᲘ. გორდონს განზრახვა აქვს დაეცეს ადგილობრივი მცხოვრებლების რაზმს, რომერიც ხართუმიდამ სამხრეთისკენ გამოჩნდა.

ᲑᲔᲠᲜᲘ. ოთხი გამოჩენილი ნემეცების ანარხისტი გამოგზავნეს შვეიცარიიდგან.

11 მარტს.

ᲑᲔᲠᲜᲘ. აქედამ გაგზავნილ ანარხისტებს ბრალდებოდათ მიწერმოწერა იმ პირებთან, რომელთაც ამას წინად რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა მოახდინეს ვენაში. ესენი ვითომ უმლიდენ აგრეთვე შვეიცარიის მთავრობას დამნაშავეთა მონახვას.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 12 მარტს. გაზეთის «სოვრემენნია იზვესტიის» თითო ნომრობით ყიდვა აიკრძალა. «პეტერბურგსკი ლისტოკს» მიეცა ნება ხელახლავ თითო ნომრობით ყიდვისა.

განცხადებანი

—

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲕᲝᲢᲔᲑᲘ



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, იდერე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩიტის საფსკვნები, უსაგირები კატისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, საფანტები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘᲡ №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქცეთ. (100—78)

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი		მოსკოვის ჩაის
	1 Მ. 10 კ.	1 Მ. 40 კ.
— —	1—20	— — 1—60
— —	1—40	— — 1—80
— —	1—60	— — 2— ,,
— —	1—80	— — 2—50
საუკეთესო	2— ,,	— — 3— ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: ოთოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაგინტოშინ კალენკორი—სულ უკეთესი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ᲕᲘᲜᲪ ᲥᲐᲦᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲛ 25 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡᲐᲓᲐᲛ 1,000 მანეთამდინ ᲡᲣᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲡ, ᲙᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲡ ᲐᲠᲐᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲡᲓᲘᲡ. (100—93)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡ, დაწესებულს გარედამ მავალი ავად-მყოფებისთვის თბილისის მოქალაქეთაგან, 4-ის აპრილის 1866 წლის სახსოვრად, აქვს პატივი აუწყოს თბილისის მცხოვრებლებს, რომ ახლად გახსნილს მისს განყოფილებებში ᲮᲐᲠᲬᲣᲮᲨᲘ—აბანოებთან, ხალათოვის სახლში, ავად-მყოფები მიიღებიან 9 საათიდგან 11 საათამდინ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ, გახეთის მოედანზე, იმ სახლში, რომელიც ფორაქოვს ეკუთვნოდა, 11 საათიდგან 1 საათამდინ.

სამკურნალოს დირექ. დისიტკეი.

(3—3)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, უოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რეზეტები, ფანქი, კარანდაში, ბენალი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამარეთებლები, სანთელი, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, ბატარა ხალები, იატაკისათვის კლეონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რეფლექტორები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ბომბრი, ქამრები, სარტყლები. საუკეთესო, ბრობკები, საბრობკეები, კრანები, ფილტრები, შოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაგინტოშები, კრაგები, საქმელი ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

ᲞᲐᲢᲐᲣᲙᲘ—20 Კ. (100—59)

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

კამოტცხარი შური რუსეთის ფქვილისა—	—1 გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა—	—1 Გ. 3 კ.
მეორისა— —	—1 Გ. 2½
იმავე ფქვილ. თორნეში კამოტცხარი:	
პირველის სარისხის—	1 Გ. 5 კ.
მეორისა —	—1 Გ. 3½
მესამისა —	—1 Გ. 3 კ.
ჯვარის-მამის შური:	
პირველის სარის. ლაკაში	1 Გ. 5 კ.
მეორის სარის. ლაკაში	1 Გ. 4 კ.
მესამისა —	—1 Გ. 3½
ძროხის ხორცი:	
პირველის სარისხის—	1 Გ. 9 კ.
მეორის —	—1 Გ. 8 კ.
სუკი . . .	—1 Გ. 16 კ.
ცხვრის ხორცი	—1 Გ. 10 კ.
ღორის ღორცი:	
პირველის სარისხის—	1 Გ. — კ.
მეორის —	—1 Გ. — კ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დღ ით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილისა. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ ᲓᲐ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. დილისა. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დღ.)

Дозв. цензур. Тифлисъ, 12 Марта 1884 г. (ეკ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამოცემელი ბ. ქ. ორთველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.